ურბანული სცენა და ისტორიული შენობები

The south park and technological facilities

სამხრეთის პარკი და ტექნოლოგიური დაწესებულებები

The north park and sports

ჩრდილოეთის პარკი და სპორტი



ELEMENTS OF THE PLAN

გეგმის ელემენტები

The city center, theater of city life

ქალაქის ცენტრი, ქალაქის ცხოვრების თეატრი


MARKET SQUARE REVIVING THE HEART OF THE CITY

ბაზრის მოედანი ქალაქის ცენტრის განახლება





სასტუმრო ძველ თბილისში



ქ. თბილისში,
ლერმონტოვის
ქ. N12-ში მდებარე
კულტურული
მემკვიდრეობის
ძეგლის
რეაბილიტაცია-
ადაპტაცია



ავტორები: არქიტექტორები –
ირინე საბაშვილი, შოთა გელაშვილი




კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობის მნიშვნელობას სოლოლაკის ქვემო კალასთან მისი სიახლოვე, საშენი მასალა (ქართული აგური), შემორჩენილი სტრუქტურული ნაწილები, არქიტექტურულ-მხატვრული სახე განსაზღვრავს. შენობა, XIX საუკუნის 50-იან წლებში, საცხოვრებელ სახლად იყო აგებული, იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი გეგმარებით. ამგვარი საცხოვრებელი სახლები თბილისის სხვადასხვა უბანში იყო წარმოდგენილი სათავსების მსგავსი განლაგებითა და მსოფლიო არქიტექტურული მემკვიდრეობიდან აღებულ მოტივებზე შესრულებული ქუჩისკენ მიმართული მთავარი ფასადებით. საყურადღებოა შენობის ლერმონტოვის ქუჩისკენ მიმართული ფასადის არქიტექტურულ-მხატვრული სახე. ფასადი მთელი შენობის სიმაღლეზე აგურით ამოყვანილი და შელესილი ვერტიკალური, გოტიკური კონტრფორსების მსგავსი, არქიტექტურული კონსტრუქციებით ხუთ არათანაბარ ნაწილადაა დაყოფილი. ცენტრალური ნაწილი



XIX საუკუნის ბოლო მეოთხედამდე თბილისის საცხოვრებელ სახლებში გავრცელებული არქიტექტურული ელემენტით - ხის მოხარატებული დაკიდული აივნითაა აქცენტირებული. შელესილი საფასადო სიბრტყის გვერდითა ნაწილების ფრიზები შემკულია ლომბარდიული რომანიკისთვის დამახასიათებელი თალოვანი ფრიზით. თალოვანი სარკმლები საჭეკი ქვების ადგილას დეკორატიული მცენარეული მოტივით რენესანსული ხასიათისაა. ამდენად გარეგნული სახე შუა საუკუნეების, რენესანსის და ქართული არქიტექტურულ-მხატვრული თავისებურებებითაა განსაზღვრული. ასევე, შემორჩენილი იყო ხის შიდა კიბე აგებისდროინდელი პროფილიანი რიკულებით, ცენტრალურ ოთახში ბაროკოს ხასიათში მხატვრულად დამუშავებული მოჩარჩოებითა და კერამიკული ფილებით მოპირკეთებული ღუმელი. მეტად საინტერესოა ცოკოლის სართულის სათავსოები, აქ არსებული მოუბათქმელებელი ქართული აგურით ამოყვანილი თალოვანი კონსტრუქციებით, თალოვანი ნიშებით, ქვემო კალას საცხოვრებელი სახლებისთვის დამახასიათებელი ნახევარცილინდრული კამარით გადახურული მინისქვეშა ე.წ. მაცივრით.

დროთა განმავლობაში ამ შენობამ, როგორც





ბევრმა სხვამ, ვერ გაუძლო დროით შექმნილ ვითარებებს და გასული საუკუნის ბოლოს, განსაკუთრებით XXI საუკუნის დასაწყისში, ძლიერ შეილახა და ავარიულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მესაკუთრის ინიციატივით განხორციელდა შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა, ფიქსაცია და შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინებით შესრულდა სარეაბილიტაციო პროექტი.

დაზიანების ხარისხის გამო, მიწისზედა ნაწილი დაიშალა და ხელმეორედ აიგო, ხოლო სარდაფის სართულის კონსტრუქციები: ქართული აგურით ნაგები თაღები, კამარები და კედლები გამაგრდა და გაინჰინდა. ფასადები აღდგა ავთენტური სამშენებლო მასალებითა და მხატვრულ-დეკორატიული ელემენტებით.

ძირითადი სივრცით-გეგმარებითი სტრუქტურისა და არქიტექტურულ-მხატვრული იერ-სახის შენარჩუნებით, მოხდა შენობის სასტუმროს ფუნქციით ადაპტირება. ადაპტაციის ფარგლებში შენობის სტრუქტურაში ჩარევა ადექვატური მოცულობით არის განხორციელებული, ხოლო არქიტექტურული გამომსახველობა ფონურია. ამდენად, შენარჩუნდა როგორც ძეგლის გარემო, იმავდროულად მისი ისტორიულ-კულტურული მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულება.





შატო ასკანა

დამკვეთი: „როიალ ასკანა“
პროექტის ავტორი: მარიაკა ქურთიშვილი
კონსტრუქტორი: რამაზ აფხაძე
პროექტზე მუშაობდნენ: არქიტექტორები - ლია ურუმაშვილი, ჯემალ ბიძინაშვილი
მშენებელი: „გონიო 2000“
მშენებლობა დასრულდა: 2021 წ.
ფოტო: გიგა ქოქოლაძე





CHATEAU ASKANA

Client: Royal Askana
 Author of the project: Marika Kurtishvili
 Constructor: Ramaz Apkhadze
 Architects - Lia Urumashvili, Jemal Bidzinashvili
 Builder: Gonio 2000 Company
 Completed: 2021
 Photo by: Giga Kokoladze



Chateau Askana is located in the mountainous region of Western Georgia, in Chokhatauri district. The building is unique with its eclectic style and multifunctional planning. The architectural style is Byzantine-Mauritanian. The total area is 3914 sq.m. Function - wine chateau. The complex structurally includes: a wine factory, entertainment and recreation spaces, apartments, an inner courtyard, a swimming pool.

The implemented project of Chateau Askana will contribute to the development of tourism and related professions and directions in the region. Visitors will have the opportunity to visit the chateau, receive high-quality guest-hospitality service and learn about the wine production process on site.



„შატო ასკანა“ მდებარეობს დასავლეთ საქართველოს მაღალმთიან რეგიონში, ჩოხატაურის რაიონში. შენობა უნიკალურია თავისი ეკლექტური სტილითა და მრავალფუნქციური გეგმარებით. არქიტექტურული სტილი ბიზანტიურ-მავრიტანულია. საერთო ფართობი შეადგენს - 3914 კვმ. ფუნქცია - ღვინის შატო.

კომპლექსში წარმოდგენილი იქნება ღვინისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისათვის განკუთვნილი სივრცეები, ასევე ტურისტულ შემეცნებითი, საცხოვრებელი და დასასვენებელი კომპლექსი, დახურული და ღია სატრაპეზოები, ეთნოგრაფიული მუზეუმი, ბიბლიოთეკა, ღია ვერანდები და საცურაო აუზი.

„შატო ასკანას“ განხორციელებული პროექტი ხელს შეუწყობს რეგიონში ტურიზმსა და მასთან დაკავშირებულ პროფესიებისა და მიმართულებების განვითარებას. ვიზიტორებს საშუალება ექნებათ ენვიონ შატოს, მიიღონ მაღალი ხარისხის სტუმარ-მასპინძლობის სერვისი და ადგილზე გაეცნონ ღვინის წარმოების პროცესს.



სერპანტინის კაპილიონი 2023

ყოველწლიურად სხვადასხვა არქიტექტორს საშუალება ეძლევა თავისი სიტყვა თქვას და განათავსოს პავილიონი კენსიგტონის ბაღში, ლონდონში. 2000 წელს, საზეიმოდ, პავილიონი ზაჰა ჰადიდმა გახსნა.

შემდგომ, კი აქ განთავსებული იყო მრავალი ცნობილი არქიტექტორის ნამუშევარი. მათ შორის არიან: დანიელ ლიბესკინდი (2001), ფრანკ გერი (2008), ჟან ნუველი (2010), პიტერ ცუმტორი (2011) და სხვანი.



ლინა გოტმეჰი

ეს უნიკალური შესაძლებლობა არქიტექტორებისთვის მცირე სტრუქტურის სახით ესაუბრონ აუდიტორიას, ხორცი შეასხან თავიან იდეებს, მსოფლმხედველობას, კრედოს თუ სათქმელს. წელს კი, 22-ე პავილიონზე მუშაობა ლინა გოტმეჰს შეხვდა წილად.

ლინა ახალგაზრდა არქიტექტორია ლიბანიდან. მან პროფესიული განათლება ბეირუთის ამერიკულ უნივერსიტეტში მიიღო. შემდეგ, კი კარიერა ჟან ნუ-

ველთან და ნორმან ფოსტერთან თანამშრომლობით გააგრძელა. სწორედ ამ პერიოდში, 2005 წელს გაიმარჯვა ინტერნაციონალურ კონკურსში და შექმნა ესტონეთის ეროვნული მუზეუმის დიზაინი, რომელიც დღეს ავანგარდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნიმუშს წარმოადგენს.

მაღევე ის საკუთარ კომპანიას აარსებს პარიზში. მისი შემოქმედება მდგრადი მომავლისა და ისტორი-



ესტონეთის ეროვნული მუზეუმი



ესტონეთის ეროვნული მუზეუმი



ესტონეთის ეროვნული მუზეუმი



ესტონეთის ეროვნული მუზეუმი

ული კონტექსტის გაერთიანების იდეას ემსახურება, რასაც თავად „მომავლის არქეოლოგიას“ უწოდებს.

გოტმეჰის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და მეტად საინტერესო პროექტი თავისი დიზაინისა თუ ისტორიული ფონიდან გამომდინარე „სტოუნ გარ-

დენია“. ეს ქვის ვერტიკალური ბაღი, რომელიც ავტორისთვის სიცოცხლის ალეგორიას წარმოადგენს, ბეირუთში პორტოან 2020 წელს აშენდა, ამავე წლის აგვისტოში მომხდარი საშინელი აფეთქების ეპიცენტრიდან დაახლოებით კილომეტრის მოშორებით. ეს,



ესტონეთის ეროვნული მუზეუმი



სტოუნ გარდენი



სტოუნ გარდენი

თავის მხრივ, კიდევ უფრო ამძაფრებს ლინას კონცეფციას. ის ამბობს, რომ ეს პროექტი არის რამდენიმე კითხვაზე პასუხი: როგორ შეიძლება შექმნა არქიტექტურა იმ ადგილას, რომელსაც დიდი ისტორია აქვს და საერთოდ არ ახასიათებს სტაბილურობა? როგორ შეიძლება შემოიტანო ბუნება შენობაში, როგორც კონსტრუქციის ნაწილი?

რაც შეეხება თვითონ სერპანტინის პავილიონს, ალბათ, სრულიად საფუძვლიანად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ავტორმა საკუთარ თავს ამ შემთხვევაში იგივე კითხვები დაუსვა. იგი, ორიენტირებუ-

ლია მდგრადობაზე და გარემოსთან ინტეგრაციაზე. არც ისაა შემთხვევითი, რომ გოტმეჰმა თავის ნამუშევარს მაგიდა უწოდა. *A table* - ფრანგული გამოთქმაა, რაც ერთად საჭმელად დასხდომას და დიალოგში შესვლას გამოხატავს.

„*A table* მოსაწვევია, რომ ვიყოთ ერთად, ერთ სივრცეში, ერთი მაგიდის ირგვლივ“- ამბობს ის.

ობიექტი წარმოადგენს ხის წრიულ სტრუქტურას, რომლის ინტერიერშიც პერიმეტრზე მაგიდებია განთავსებული. მაგიდა გარემოსგან დაბურული შუშითაა გამოყოფილი, რითიც ის ინტიმურ პირად სივრ-



სტოუნ გარდენი



სტოუნ გარდენი

ცეს ქმნის ბუნებასთან კავშირის განყვეტის გარეშე. პავილიონი ცენტრალური ოკულუსით ნათდება და პალმის ტოტისგან შთაგონებულ ტეხილ გადახურვასთან ერთად გეომეტრიულ ყვავილს მოგვაგონებს. სივრცის ნაღვეებისგან დასაცავად, ოკულუსზე გამჭვირვალე მემბრანაა გადაჭიმული. ხის მასალა, მსუბუქი ბუნებრივი განათება და ვენტილაცია, ექსტერიერისა და ინტერიერის ერთიანობა, და ამასთან დიალოგი გარემოსთან ქმნის მშვიდ, იდილიურ ატმოსფეროს. უდაოა, რომ ლინამ შეძლო ხორცი შეესხა თავისი იდეისთვის და მატერიალიზირებული სახე მიეცა ბუნებასთან ერთიანობის კონცეფციისთვის. მისი მიზანი იყო შეექმნა სივრცე, რომელიც თავისთავად მოუწოდებდა ხალხს ერთად დამსხდარიყვნენ, ეფიქრათ, კიდევ ერთხელ გაეაზრებინათ ურთიერთობა ბუნებასა და დედამიწასთან. ამის შესაძლებლობა კი ვიზიტორებს 2023 წლის ივნისიდან ექნებათ.

სტატიის ავტორი:
ნინო გოგიჩაიშვილი



სერპანტინის პავილიონი



სერპანტინის პავილიონი



სერპანტინის პავილიონი



სახლი თბილისი ჰილსზე


პროექტის ავტორები: N.S.Kariauli studio.
ნათია კარიაული, სოფიო კარიაული

თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში N.S.Kariauli studio-ს პროექტით საცხოვრებელი სახლი აშენდა. პროექტის ღირსება – მისი გარემოსთან ურთიერთკავშირში მდგომარეობს. ნაგებობა კომპაქტურია, ორიგინალური კომპოზიციით გამოირჩევა და ერთ მთლიანობაში აღიქმება. ინტერიერის ატმოსფერო უხვად შემინული სიბრტყეებიდან შემოჭრილი სინათლითა და ჰაერითაა სავსე

და თავისუფალია. შემინული სიბრტყეები ზრდის საცხოვრებლის საზღვრებს. შიდა სივრცე ეზოში აუზზე და ქალაქის უმშვენიერეს ხედზე იხსნება. ყურადღებას იპყრობს სხვადასხვა დონეზე გადანაწილებული ეზოს გეომეტრია და ორიგინალური რაკურსები.


ინტერიერის პირველი დონის ერთიანი სივრცე გახსნილია. მისი ზონირება დიდი ორმხრივი ბუხ-

რით იქმნება, რომელიც მთელ ატრიუმს ასდევს. ერთი მხრიდან ბუხრის სიმაღლე ექვსი მეტრია, ხოლო მეორე მხრიდან სამი მეტრი. ინტერიერში ლოკალურ ფერთა კონტრასტი დომინირებს. მოცემული თემატიკა გულდასმითაა დამუშავებული და ორიგინალური გადანწყვეტით გამოირჩევა. მასში წამყვანი, დომინანტი ელემენტების გადანაწილება, დიზაინერული ხერხებით ოსტატურადაა შესრულებული, რაც მეტად სასიამოვნო, კომფორტულ გარემოს ქმნის.





HOUSE ON TBILISI HILLS



AUTHORS OF THE PROJECT:
N.S.KARIAULI STUDIO.
NATIA KARIAULI,
SOPHIE KARIAULI

A residential house was built in one of the prestigious districts of Tbilisi by the project of N.S.Kariauli studio. The value of the project lies in its interaction with the environment. The building is compact, has an original composition and is perceived as a whole. The interior atmosphere is light-filled and free.

Extensive stained glass windows increase the living space. The interior space opens onto the courtyard pool and the most beautiful view of the city. Attention is drawn to the geometry of the courtyard divided into different levels and the original perspectives.

The single space of the first level of the interior is open. Its zoning is created by a large two-sided fireplace, which is the entire height of the atrium. The height of the fireplace is six meters on one side, and three meters on the other side.

The dominating element of interior design is the contrast of local colors. Thorough development and original solution of the general theme, masterful distribution of design dominants create a really pleasant, comfortable environment.





ქუთაისის მულტიფუნქციური ხელოვნების ცენტრი

NS Studio ქართველი არქიტექტორების, ნინი ჭანტურიასა და ლუკა ჩაგანავას მიერ 2013 წელს დაფუძნებული სტუდიაა, სადაც გასული 10 წლის განმავლობაში ხარისხიანი ქართული არქიტექტურის შექმნის იდეის ირგვლივ დიდი გუნდი გაერთიანდა.

2022 წელი NS Studio-სთვის მრავალფეროვანი და სიახლეებით დატვირთული იყო. გუნდის

გაფართოვებასთან ერთად, NS Studio-მ საქართველოს მასშტაბით მრავალი ახალი პროექტი განხორციელა, რომელთა შორისაა საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და შერეული ფუნქციების მქონე შენობები. სტუდიის დამფუძნებლები 2022 წლის ნამუშევრებიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქუთაისის მულტიფუნქციური ხელოვნების ცენტრის აღდგენის პროექტს ანიჭებენ.





ფერი არსებულმა გარემომ უკარნახა. ამ შემთხვევაში საპროექტო ჯგუფის მიზანი სწორი აქცენტების პოვნა და საკვანძო ელემენტების მიზნობრივად გამოყენება იყო. იმისთვის, რომ გუნდი რაციონალურ არქიტექტურულ გადაწყვეტამდე მისულიყო, სიტუაციის გააზრების რამდენიმე შესაძლო ვარიანტი განიხილეს, თუმცა საბოლოოდ ოპტიმალური ბალანსი ფუნქციასა და არქიტექტურულ-მხატვრულ ღირებულებას შორის მიიღეს შენობის არსებული და ახალი არქიტექტურული ელემენტების შერწყმით. NS Studio-ს გუნდმა ახალი ფორმებით შეავსო ფუნქციური ნაკლოვანებები, რომლებიც საექსპოზიციო სივრცისთვის სრულფასოვანი გეგმარება შეიქმნა.

განახლებული შენობა მნიშვნელოვან წვლ-

ილს შეიტანს მოედნის საერთო სტრუქტურულ მთლიანობაში. პროექტის მიხედვით, ქუთაისის ხელოვნების ცენტრის ინტერიერში განსაკუთრებულ ვიზუალურ და ფუნქციურ როლს ასრულებს წითელი ფერის პანდუსი, რომელიც ამავდროულად საგამოფენო სივრცისთვისაც არის გამოყენებული. ამასთან ერთად, პანდუსით შენობის ვიზიტორებს ბოლო სართულზე ასვლა შეუძლიათ, სადაც ტერასა მდებარეობს და აღმაშენებლის მოედნის უნიკალური ხედი იშლება. შენობის მინუს სართულზე დახურული საგამოფენო სივრცე და ამფითეატრია განთავსებული, ამიტომ შენობას მრავალი ფუნქციის შეთავსება და ქუთაისის ხელოვნების სუბკულტურის პოპულარიზაციაზე დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია.

ქუთაისის მულტიფუნქციური ხელოვნების ცენტრი ქუთაისში, თბილისის ქუჩისა და დავით აღმაშენებლის მოედნის კვეთაზე მდებარეობს - ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და ისტორიულ ლოკაციაზე შენობა 1846 წელს აშენდა საცხოვრებელი დანიშნულებით, თუმცა მეცხრამეტე საუკუნის შემდეგ მრავალი ფუნქცია და მფლობელი გამოიცვალა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ შენობა სახელმწიფოს მფლობელობაში აღმოჩნდა და 1922 წელს აქ სამაზრო გლახკომი განთავსდა. 1947 წელს სახლი მუზეუმს გადაეცა და რეკონსტრუქცია ჩაუტარდა, 1977 წელს კი მიშენება დაემატა. ქუთაისის ურბანულ ისტორიაში მნიშვნელოვანი

როლის შესრულების მიუხედავად, 2013 წლის შემდეგ შენობა უფუნქციო და მიტოვებულია, თუმცა ის მოედნის ორგანული ნაწილია, რომელიც მის სივრცით კომპოზიციურ წყობაში დიდ როლს ასრულებს. აქედან გამომდინარე, NS Studio-სთვის მნიშვნელოვანი იყო მისი კვლავ რელევანტურ, დახვეწილი არქიტექტურული ესთეტიკის მქონე შენობად ქცევა და მისი ისტორიული კონტექსტის წინა ფლანგზე წამოწევა.

შენობის ადგილისა და ისტორიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, რთული არ იყო პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, რადგან NS Studio-ს გუნდს მეტწილად ყველა-





45TH INTERNATIONAL MEETING OF ARCHITECT SKIERS IN MESTIA, SVANETI

The meeting of Architects Club - SKIA, in 2023 was held in Mestia (in Svaneți) from February 25 to March 2.

Architects club SKIA has been holding Professional meetings in international format since 1977 and it is an important event in the field of architecture. SKIA's activities include the creative connection of architecture and environment, the search for new aesthetic values and their establishment in the field of architecture and urban planning.

Since its inception, every year SKIA has held a competition of ski architects in the giant slalom.

SKIA competitions have been held for years in Bakuriani, Gudauri, and this year they are being held in Mestia for the second time.

It is worth noting that this year, together with the sports competition, an international student architectural competition was held to identify the best sketch project on the topic „Alpine Trekking Cabin“. Students of European architectural schools took part in the competition. There will be professional discussions and master classes of various workloads. The competition of ski architects in giant slalom included different age groups. Here are the results:

Openers: Abashidze Sandro, Abashidze Dato, Vachnadze Alexandre Kldiashvili Giorgi Zvezdin Dimitri

Women Over 40:

Qvartskhava Natasha – I Place; Mikeladze Natia - II Place; Mirziashvili Maia - III Place

Seniors 40-60:

Storch Fabian – I Place; Maskhulia Irakli - II Place; Hasratyan Mika - III Place

Seniors over 60:

Siegemund Jochen – I Place; Dolukhanyan Karen - II Place; Abashidze Nukri - III Place






Wemen under 40:
 Gvazava Mariam – I Place;
 Vachnadze Ketevan - II Place;
 Davitidze Elene - III Place



The first prize of the competition was awarded to: Luka Kamushadze, David Makadze, Guka Narimanishvili, Lado Sigua, Giorgi Imnaishvili



Seniors Under 40:
 Margiani Murman – I Place;
 Khudjadze Lado - II Place; Vacheishvili Kote - III Place



Was awarded the first prize
 Project authors: Luka Kamushadze, David Makadze, Guka Narimanishvili, Lado Sigua, Giorgi Imnaishvili

Student Girls:

Fischer Antonia – I Place; Mikaberidze Nutsa - II Place; Velieva Nina - III Place

Student Boys:

Japaridze Tada – I Place; Margvelani Akaki - II Place; Soballa Hannes - III Place

At the SKIA 2023 international student architectural competition, the theme of which was "Alpine Trekking Cabin", many interesting sketch projects were presented and the best among them were duly noted, however, the first place among the works was single-handedly won by the project of the student group of the University of Georgia. They are: Luka Kamushadze, David Makadze, Guka Narimanishvili, Lado Sigua, Giorgi Imnaishvili.

It should be noted that the second group of the same university, which consisted of Giorgi Rostishvili, Nino Khujadze, Tamar Tabatadze, Leri Beridze and Zaza Beridze, was awarded the Onorable Mention for an interesting sketch project.

We congratulate the organizers, sponsors, and winners of the event on the successful completion of this important creative meeting and wish them success in the future.



Was awarded the Onorable Mention.
 Project authors: Giorgi Rostishvili, Nino Khujadze, Tamar Tabatadze, Leri Beridze, Zaza Beridze



ტრადიციული ინდივიდუალურობა



თანამედროვეობაში გაცოცხლებულ ინტერიერში განთავსებული რესტორან „დერგის“ დიზაინი, N.S.Kariauli studio-ს (ნათია კარიაული, სოფიო კარიაული) და Atelier Z -ის კოლაბორაციის შედეგს, მათი პროექტის ხორცშესხმას წარმოადგენს. ინტერიერის დიზაინის შექმნაში აქტიურად და უშუალოდ იყო ჩართული რესტორნის მეპატრონე, ქალბატონი ეკა რუხაძე. მისი სურვილის შესაბამისად განხორციელდა ინტერიერის ცალკეული მონაკვეთი.

აქ არის ავთენტური სამზარეულო და ამიტომ სივრცე სტილისტურადაც ტრადიციულ ქართულ ხასიათშია გადანყვეტილი. გამოყენებულია ადგილობრივი მასალები - ძველი, სხვადასხვა ფორმის ადგილობრივი კრამიტითაა აწყობილი უნიკალური ბუხარი. სადგეუსტაციოს მაგიდაც ადგილობრივი ძველებური საწნახლისგანაა გაკეთებული. საპირფარეოში შესასვლელი ინვესს ყველაზე დიდ ინტერესს :))) ძველებური “ ბუფეტის “ კარში უნდა შეხვიდეთ რომ დაიბანოთ ხელი ...

ორ დონეზე გადანაწილებულ ულამაზეს სივრცეში თანამედროვე და ტრადიციული დეკორის ყოველი ფრაგმენტი მნიშვნელოვან დატვირთვას იღებს. დიზაინი ინდივიდუალურია და აბსოლუტურად განსაზღვრული ფუნქცია გააჩნია. პროფესიონალიზმი ყოველ ფრაგმენტში შეიგრძნობა - სივრცის სწორად ორგანიზაცია, ფერისა და მასალის ჰარმონია, ოსტატურად მოფიქრებული და გადანაწილებული განათების დიზაინი, მოცემულ



სათავსოთა საერთო სტილისტურ გადანყვეტასთან შესაბამისი ფურნიტურა - საერთო იდეითა და თემით გამთლიანებულ, ჰარმონიულ ინტერიერულ სახეს ქმნის. მასში დეტალურადაა გათვლილი ყოველი ნიუანსი და წარსულის ინდივიდუალურობა .



restroom causes the greatest interest :))) You have to enter the door of the old „buffet“ to wash your hands... Each fragment of modern and traditional architectural decoration bears special significance. Professional approach shows in efficiently organized space. Flawless design, integrated by a general theme, forms an original interior space.



THE INDIVIDUALITY OF THE TRADITIONAL



The interior design of the restaurant Dergi, located in the village of Nukriani in Kakheti, is the result of a collaboration between two companies: N.S.Kariauli studio-ბ (Natia Kariauli, Sophie Kariauli) and Atelie Z. The owner of the restaurant, Mrs. Eka Rukhadze, was actively and directly involved in the creation of the interior design.

There is an authentic kitchen here, and therefore stylistically it is decided in the traditional Georgian character. Local materials are used - a unique fireplace made of old local tiles of various shapes.

The tasting table is also made from an old local wine press. The entrance to the





BLUEORCHARD KITCHEN LOUNGE SPACE

ინტერიერის დიზაინი

ავტორები: ნიკიტა ტიმოშენკო & თორნიკე ჭიკაძე
2023წ.



ავტორებისგან: საპროექტო ფართი მდებარეობს თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე. პროექტი წარმოადგენს საოფისე ფართის სამზარეულოსა და მოსასვენებელი სივრცის სინთეზს. დიზაინის კონცეფცია სიმშვიდესა და სიმყუდროვეს ეფუძნება, ბრენდის სახასიათო მუქი ლურჯის დეკორთან კომბინაციას კი სივრცეში ჰარმონიული განწყობა შემოაქვს. ხელოვნუ-



რი განათების ელემენტების სიუხვე გამჭვირვალობის ეფექტს ქმნის, გარემოს კი ნათელ, განტვირთვითვის სასიამოვნო ადგილად აქცევს. სივრცეში გამოყენებულია Ahrend&RIM CZ-ის საოფისე ავეჯი რაც დამატებით კომფორტს ქმნის. შემსრულებელი კომპანიაა - „OfficePros“.



BLUEORCHARD KITCHEN LOUNGE SPACE

interior design

Authors: Nikita Timoshenko & Tornike chikadze

2023 year.



From the authors: the project space is located on Iliia Chavchavadze Avenue in Tbilisi. The project is a synthesis of office kitchen and relaxation space. The design concept is based on calmness and coziness, the characteristic dark blue color of the brand is combined with the decor and brings a harmonious mood to the

space. The abundance of artificial lighting elements creates the effect of transparency, and turns the environment into a bright, pleasant place for relaxation. Ahrend&RIM CZ office furniture is used in the space, which creates additional comfort. The performing company is "OfficePros".






MAJOREL BATUMI RECEPTION

ინტერიერის დიზაინი

ავტორი - ნიკიტა ტიმოშენკო
2022 წ.

ავტორისგან: ობიექტი წარმოადგენს ოფისის მიმღების სივრცეს. პროექტი მდებარეობს საქართველოში, ქალაქ ბათუმში. პროექტირების დროს მთავარი მიზანი იყო მაქსიმალურად ოპტიმალურად მომხდარიყო სივრცის ათვისება, ისე, რომ ადგილი დაგვრჩენოდა მოსაცდელისთვის. გადაწყვეტილება მიმღების პულტი ყოფილიყო ამ ვინრო და გრძელი სივრცის მთავარი არქიტექტურული ელემენტი. მისი დიზაინი იწყება შენობაში შემოსასვლელთან, როგორც მომსვლელებისთვის დასაჯდომი ადგილი და გადაიზრდება მიმღების პულტში. გადასვლა წარმოდგენილია სამკუთხა, დატეხილი სიბრტყეებით, რომლებიც თანდათან უერთდება კედლის პანელებს. მიმღების მასალად გამოყენებულია - კორეანი, Samsung Staron Stone. კედლის მასალად კი შპონირებული MDF. ასევე გვხვდება სხვადასხვა ფერის ჩანართები, რაც კომპანიის ბრენდულ ფერებს უსვამს ხაზს. მოპირდაპირე კედელზე გვხვდება სარკეების რიგი, რომლებიც ვინრო სივრცეს ვიზუალურად აფართოვებს და ხაზს უსვამს მიმღების პულტს. ავეჯი მოწოდებულია საოფისე ავეჯის კომპანია "OfficePros"-ს მიერ (ჩეხეთი).




MAJOREL BATUMI RECEPTION

interior design

Author: Nikita Timoshenko
2022 year.

From the author - the object is the reception area of the office. The project is located in Georgia, in the city of Batumi. During the design, the main goal was to use the space as optimally as possible, so that there was room for the waiting room. I decided to make the reception desk the main architectural element of this narrow and long space. Its design begins at the entrance to the building as a seating area for visitors and extends into the reception desk. The transition is represented by triangular, broken planes that gradually join the wall panels. The receiver material is Korean, Samsung Staron Stone. The wall material is veneered MDF with oak veneer. There are also inserts of

different colors, which emphasize the brand colors of the company. On the opposite wall, there are mirrors, which visually expand the narrow space and emphasize the reception desk. The furniture is provided by office furniture company „OfficePros“ (Czech R).





სტილისტური მთლიანობა




ავტორი: ილია ზაქარაია
 საერთო ფართი: 175 კვ.მ
 მდებარეობა: თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა

საცხოვრებელი ინტერიერის თანამედროვე გარემო კომფორტულია. იგი, განსაკუთრებული, მისთვის დამახასიათებელი სიმყუდროვით და გამომხატველობით გამოირჩევა და ტრანსფორმაციას განიცდის რეალობაში. დიზაინერის პროექტით შეიქმნა მოქნილი გეგმარება, დახვეწილი, დინამიური ფორმები. ორიგინალური, ეფექტური ფუნქციონირება და საგნებით შექმნილი ცალკეული მონაკვეთი თავისებურად შთამბეჭდავია, რადგან მხოლოდ ესთეტიკურის აღქმით არ შემოიფარგლება. დიზაინის არქიტექტონიკაში, მოულოდნელი ნიუანსები გა მოიკვეთება, რაც მთლიანობის გამომხატველობით ხასიათის განმსაზღვრელი ხდება. კოლორიტულ ერთიანობაში ორიგინალური მაჟორული აქცენტები დომინირებს. ილია ზაქარაიას მუშაობის დახვეწილმა სტილმა და გემოვნებამ სრულიად განსაზღვრა ინტერიერის სტილისტური მთლიანობა და ცხოვრების წესთან შესაბამისობა.





STYLISTIC INTEGRITY



Author: Ilia Zakaraia
 Total area: 175 sq.m
 Location: Mitskevichi Street, Tbilisi,

The modern environment of the living interior is comfortable. It is distinguished by its characteristic coziness and expressiveness, and undergoes a transformation in reality. The designer's project created flexible planning, sophisticated, dynamic forms.

A separate section is impressive in its own way, because it is not limited to aesthetic perception. In the architectonics of the design, unexpected nuances are cut out, which become the determinant of the expressive character of the whole. Original major accents dominate the colorful unity. The refined style and taste of Ilia Zakaraia's work completely determined the stylistic integrity of the interior and its compatibility with the lifestyle.





YOVA APARTMENT

Location: Kyiv | Ukraine
 apartment Area: 75 sq.m.
 Status: implemented | 2021
 Designer: Yova Yager
 Studio: YOVA YAGER design
 Photographer: Evgeny Avramenko
 Furniture manufacture: VERDI and Trone Grande

- ***Bicycles instead of children and animals. Housing of a creative individualist of the 21st century***
- What happens when a restaurant designer makes an apartment for himself and takes his partners to himself for the implementation of the project. Yova Yager, the founder of the YOVA YAGER design studio, shares her hobbies and experiences with her own rethinking of the design of living spaces during the lockdown.
- Yova Yager is known in Ukraine as a designer precisely in the hospitality market. Creating a private house - a small apartment for two not in the center of the city during the first lockdown has changed a lot in her perception of the design of living spaces. Yova designed housing for herself, and as a result, a whole philosophy was born. How to create modern living spaces, when at the same time you can spend a week there without leaving the house, or just run there to sleep in the active life of today's urbanist.
- ***The main conclusions vs life hacks in home design at once:***
- Less is more. Purity of space and ultimate functionality as a guarantee of comfort and the ability to change the mood.



Multifunctionality. Your home is both an office, and a favorite cafe, and a study, and intimate space at the same time.

Sustainability and responsible consumption matter. It is important to do what you can and not be afraid to be a drop in the ocean - from sorting garbage at home to furniture made from hemp and mushrooms

Meaningfulness. There are no expensive and cheap brands, there are meaningless things. materials, furniture, decor of high, niche and no-name brands are well combined today if they are meaningful

- ***Living space should be part of you, like a foot or a finger. Housing of the future, what is it?***

-A modern person does not need a lot of housing. As well as a lot of things - clothes, things, garbage. He needs small spaces where you continue to lead a normal life - work, give presentations, meet friends, eat, listen to your favorite music, watch TV shows, do nothing and make love. All in one location. Small, but like a part of you. Like your foot or finger, a native extension of yourself. It sounds absurd, but it is possible if you consciously approach the choice and design of housing.

„I am the center baby. Born and raised in Podil. 10 years of experience in renting apartments has given me the understanding that having only my personal space is a priority





over location. Therefore, now my home is on the left bank of Kyiv. There is simplicity and cleanliness in my design, but I would make the next project more environmentally friendly. In this we sort the garbage. In the next project, I want to get very confused on the conscious materials of the future. In general, my decision is not only correct, it is simply very complementary to me personally, and this is what you should strive for when creating housing" - said Yova.

- **The designer of restaurants makes housing, and even for himself. It's hard?**

- Both yes and no. The design profession makes it difficult in general to treat something easier. But design skills help to do everything right. The design of public places gives a good



understanding of how to make housing so that it would be desirable to live in it, and not just to spend the night.

„Housing for a designer should be like a blank canvas, a base in which there are two or three focal elements, and everything else can be changed according to the mood due to the decor. I need a clean space, no clutter, no gender, no style, no time, no era, super function“ - answered Yova.

- **Minimalism as it is. White walls, ceiling and a minimum of decor - isn't it boring?**



- No. This is a salvation for a creative and active person who constantly works with color, shapes, styles, decor elements. It is important to feel the space as clean and transformable as possible. Therefore, as a base, white walls and a ceiling. Customized laconic furniture. Even the hangers are all the same, only black and one brand. Textiles from natural plain fabrics - linen and hemp - as curtains, partitions and doors. Instead of TVs, a picture in the bedroom and a projector in the main room. A minimum of decor that can be changed as you like, creating any mood. Now - flowers, a handmade carpet according to sketches, pillows in the shape of fish. And two special items - a vase and a plate from the mycelium of the Yova and S.Lab experimental project - YY Mico Collection, which they presented in Paris at the PDW 2021 exhibition.



„The kitchen was the hardest part, it took the longest to make, half a year. As a perfectionist minimalist, I spent several months redoing the blueprints. I searched for each item its ideal place in order to maximize its function“ - answered Yova.

The magic of light - zoning, creating a mood, saving In her space, Yova chose the main light - cosily intimate, zoned. With a minimum number of light sources on the ceiling. For cleaning purposes only. The result is a slightly French style - twilight, created by backlighting with spotlights - floor lamps and table lamps.





„Lighting is just like a restaurant experience, when you understand how to zone with light and combine lighting to create a unique lighting scenario“ - said Yova.

- Local manufacturers are good

- Firstly, this is another important way of conscious behavior and sustainable development - to support the production of your country. Especially if it deserves it. Most of the furniture in this project was produced according to individual sketches by Ukrainian manufacturers Verdi Company and Trone Grande, the most reliable and responsible partners, with whom Yova has been working for more than 7 years in her projects in the hospitality market. In addition, the project used linen and hemp textiles from the Ukrainian eco-brand Hemp. The floor carpet in the main room was woven especially for Yova's project by Transcarpathian craftsmen.



- Bicycles instead of children and animals

- The apartment was originally specially designed taking into account the passion for cycling of one of its residents. The task was to fit two bicycles with their entire ecosystem into the living space. One solution is to place the bike in a wardrobe. From which now it is three times smaller in capacity, but it is enough even when guests come. The guest bathroom provides everything for washing the bike - a shower ladder, a hose, a hook for hanging. On the balcony - the main storage area for equipment and space for training.



„Everything was originally designed and conceived for them. A bicycle is a separate universe, it must be accompanied by a lot of accessories and special care conditions. In this apartment, two bicycles coexist with us, but few people know about it. Super mission accomplished“ - said Yova.

- And what is the result

- As a result, the human population is growing on Earth, and with it, new problems and human needs are growing. Housing is reduced in size and expanded in its purpose. One of the tasks today is to make a small space as spacious and comfortable as possible, complementary to its residents. Where a person will not feel imprisoned in his apartment. This project started in 2019, but it was finalized on the first lockdown. The organization of space in the project anticipated the situation. Yova's housing became more than



housing. It has become another part of the body - comfortable, native, functional. It made Yova, as a hospitality designer, rethink her attitude to the design of residential spaces.

„I want to create modern housing for citizens. It is difficult, interesting, responsible and completely different than it was 5 years ago. I feel that I can create something new and important for people. Therefore, I expand the boundaries of my studio to create any spaces for people, including residential ones, but still only meaningful responsible design~ - said Yova.





პირველი ეპიზოდი - „სად მივდივართ“

“სიყვარულით, NS”

- ამ სახელწოდების ქვეშ გაერთიანებული ინსტალაციების სერია NS Product-ის გუნდმა 16 თებერვალს, გალერეა #9- ში წარადგინა. გამოფენა სიყვარულის სხვადასხვა ფაზას და ემოციათა იმ სპექტრს ეძღვნება, რომელსაც რეალურ ურთიერთობებში მყოფი ადამიანები საკუთარ თავზე გამოსცდიან. სტუდიის პირველი კოლექციის სკამები, „სან“ და „ან“ ექსპოზიციის მთავარი ელემენტები არიან. მათთან ერთად წარმოდგენილია „საამბორო სკამი“, რომელიც თავისი მონუმენტური ფორმებითა და ხასიათით ექსპოზიციის კულმინაციურ როლს ასრულებს.

სიყვარულს, ჩვენი გაუმჯობესებისა და გაბედნიერების გარდა, დამანგრეველი ძალაც აქვს. ის შეიძლება დამლელი და ტკივილით აღსავსეც იყოს, თუმცა, სიყვარული უმთავრესად შთამაგონებელია. სწორედ ამიტომ, NS Product-ის გუნდმა გადაწყვიტა ამ ემოციების კოლექციის სახით გადმოცემა.

ერთმანეთის პირველად დანახვიდან ვალდებულებების გაზიარებამდე წყვილი გრძნობათა მრავალ ტალღასა და თავგადასავალს გადის. ეს მოგ ზაურობა კოლექციაში „სიყვარულით, NS“ თემატურ ინსტალაციებში და სხვადასხვა ფაქტურის, ფერის მქონე ქსოვილების გამოყენებითაა გადმოცემული.

გამოფენაზე წარდგენილი ხუთი სხვადასხვა ეპიზოდის საშუალებით ქრონოლოგიურად გამოხატულია სასიყვარული ურთიერთობის ხუთი ეტაპი:

პირველი ეპიზოდი - „სად მივდივართ?“

კოლექციის პირველი ეპიზოდი გამოხატავს ურთიერთობის საწყის სტადიას, როცა ორი ადამიანის კავშირში არაფერია უთუო და გარანტირებული. მორიდებული ინტერესითა და მშვიდი მღელვარებით შეპყრობილნი, შეპარვით, თითქოს გაუაზრებლად რაღაც უფრო მასშტაბური გაგრძელებისთვის ემზადებიან. „ნეტა, მოვწონვარ? თუ არ მოვწონვარ?“ - გონებაში გაელვებული კითხვები სიმბოლურად გვიჩვენებს ინსტალაციის სახითაა წარმოდგენილი. ბუნების მოტივების ამსახველი ფერადი ტექსტილი კი ხაზს უსვამს ამ ეპიზოდისა და მისი ქვეტექსტის სინრფეულს, ბუნებრივობასა და სილამაზეს.

მეორე ეპიზოდი - „თქვენთვის წერილია“

ეპიზოდი ეძღვნება ურთიერთობის შემდეგ, გარდამავალ ფაზას. თითქოს უსასრულოა, ჰო? შენც ელოდები და ისიც ელოდება, მოლოდინში კი საუბრის გაგრძელების უამრავი ვერსია იბადება, რაც თითქოს ამ დროში განვლილ პროცესს კიდევ უფრო ემოციურს და ამაღლვებულს ხდის. ხვდები, რომ გაინტერესებს სად არის, რას აკეთებს, რას



პირველი ეპიზოდი - „სად მივდივართ“



მეორე ეპიზოდი - „თქვენთვის წერილია“

უსმენს, როგორ ატარებს დროს... სწორედ ამ აუარებელი მიმოწერის გასაცოცხლებლად, კოლექციის მეორე ეპიზოდში ჰაერში გატყორცნილი ქაღალდის თვითმფრინავებია წარმოდგენილი.

მესამე ეპიზოდი - „ნისლი ჩამოწვა“

ამ ეპიზოდის სახელწოდებაში ნისლის არსებობა სიმბოლოურია. რეალური ურთიერთობების მსგავსად, არ ვიცით, რამდენ ხანს გაგრძელდება ნისლი, რამდენად ძლიერი იქნება, რა გარემოებებს გამოიწვევს. კონკრეტული ეტაპიც, შესაბამისად, ბუნდოვანია, ცოტა პირქუში, გაუგებარი და ხანდახან ტკივილის მომტანიც. დაბრკოლებებით სავსე გზის გადალახვა მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევითაა შესაძლებელი, მოთმინებით, მოსმენითა და პატივით. ინსტალაციაში გამოყენებული ფაქტურული ტექსტილის სკამები იძულებულნი არიან, ერთმანეთის საპირისპირო მხარეები დაიკავონ, მათ შორის არსებული ბუნებრივი, უხეში მასალებით შექმნილი დაბრკოლების გათვალისწინებით. შავ ტონში გადანაცვლებილი ფონები კიდევ უფრო ამძაფრებს ეპოზოდის შინაარსსა და მის ქვეტექსტს.

მეოთხე ეპიზოდი - „ისევ მიყვარხარ...მეც“

სირთულეების ერთად გადალახვის, კომპრომისებზე წასვლისა და საერთო ენის ხელახლა გამოძებნის შემდეგ პირვანდელი გრძნობები კიდევ უფრო ძლიერდება და ურთიერთობაც



მესამე ეპიზოდი - „ნისლი ჩამოწვა“

ნელ-ნელა მყარდება. დაფიქრებისა და განვლილი ეპიზოდების გააზრების შედეგად ვხვდებით, რომ ჩვენთვის ყველა მნიშვნელოვან კითხვას პასუხი გაეცა. ურთიერთობის ამ ფაზაში აღარ ვართ ძიებაში, ახალი კითხვის ნიშნების დასმასა და ერთმანეთის განაწყენიანებაში. პირიქით, თითქოს ახალი ენერჯისა და სულის შთაბერვით ვაგრძელებთ გვირილებზე მკითხაობით დაწყებულ გზას. განვლილი სირთულეები მხიარულად, პოზიტიურად გვახსენდება, გველიმება და ვფიქრობთ, რომ ეს კრიზისი თითქოს სულ ახლახანს დავამარცხეთ. ცისა და მზის ფერებში გადანაცვლებილი სკამები, უკვე გვერდიგვერდ, ერთად დგანან და კვლავ იმ რალაც მასშტაბურისკენ აგრძელებენ სვლას.

მეხუთე ეპიზოდი - „სიყვარულით, NS“

კოლექციის ბოლო, გამაერთიანებელი ელემენტის სახით სიმბოლური კონფიგურაციისა და შინაარსის მატარებელი „საამბორო სკამი“ შევქმენით. NS Product-ის პირველ კოლექციაში („Take A Seat, We Are Starting“) წარმოდგენილი ორი „სან“ სკამის გაერთიანებით მიღებულია მონუმენტური ხასიათის მქონე ფორმა, რომელიც თემატურად წითელ ფერშია გადანაცვლებილი. შინაარსობრივად ეს ეტაპი ფინალურია - ვსხედვართ და ერთმანეთს თვალებში ვუყურებთ. ყველაფერს უხმოდ, უსიტყვოდ ვხვდებით, გვესმის და ვსაუბრობთ. ვინც გვიყვარს, აქ არის, ერთმანეთის წინ ვსხედვართ, ჩვენს ირგვლივ არსებული სხვა ყველაფერი კი უმნიშვნელოა, კარგიც და ცუდიც. თუმცა, აღარაფერს აღარ აქვს მნიშვნელობა, ვინაიდან ეს ეპიზოდი ჩვენზეა. მათზე, ვინც წინა ოთხი ფაზა გამოიარა, გაიზრა და დააფასა. ეს, ერთდროულად თითქოც დასასრულიცაა და დასაწყისიც - სრულდება ეტაპები და იწყება სიყვარული.



მეხუთე ეპიზოდი - „სიყვარულით, NS“



მეოთხე ეპიზოდი - „ისევ მიყვარხარ...მეც“



IMPREINT SPACE IN LONDON

Impreint Space Relocated open space in London used by the artist as an unconventional meeting point where free-thinkers can share events, photo shooting, filmmaking and workshops.

Interview with IMPREINT:

- Could you tell about the IMPREINT Space?

It's one of the first things that I've done as an artist, create a space where everyone can feel equally free to express their creativity. It's unconventional and outdoor, therefore totally subjected to atmospheric events. It teaches you to embrace adaptation and inventiveness. I run events without a specific program or period time, things must happen almost by coincidences. I like to be surprised.

- Where is the art space located?

London <https://www.impreint.com/impreintspace>
 - How much does it cost, and does the show take a commission?

It's free of charge. I don't think artists should create with economic expectations, because that's a consequence, not the meaning. We should probably enlarge the concept of compensation, without the reductive point that it comes mainly through money.

- Any plans for next events?

An international artist collective.

- What criteria do you use for when you choose artists?

I don't choose artists, whoever feels interested in bringing something to the conversation is welcome.

<https://www.impreint.com>

Interview by Ana Lagidze

